



2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიამონიტორინგი

ბეჭდური მედიის მონიტორინგი

15 აპრილი - 2 მაისი, 2014

„სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა“ გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროკავშირის მხარდაჭერით განახორციელა პრესის წინასაარჩევნო მონიტორინგი პროექტის “პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის“ ფარგლებში და წარმოადგენს 2014 წლის პირველ შუალედურ ანგარიშს, რომელიც მოიცავს წინასაარჩევნო პერიოდს 15 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით.

მონიტორინგის პერიოდში დაკვირვება ხდებოდა შემდეგ გამოცემებზე: „რეზონანსი“, „ალია“, „კვირის პალიტრა“, „ასავალ-დასავალი“, „ახალი თაობა“, „ვერსია“, „კვირის ქრონიკა“.

მასალის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- მონიტორინგისთვის შერჩეულ ყველა გამოცემაში ჭარბობს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკა.
- მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და მთავრობის საქმიანობა გაშუქდა.
- ნაკლები სიხშირით შუქდება მერობის კანდიდატების წინასაარჩევნო საქმიანობა; გამოცემები მეტ ყურადღებას უთმობენ პოლიტიკური პარტიებისა და სახელისუფლებო ძალების გაშუქებას.
- თბილისის მერობის კანდიდატების გაშუქებისას ჭარბობს დადებითი ტონის პროცენტული მაჩვენებლები დავით ნარმანიასა და დიმიტრი ლორთქიფანიძის გაშუქებისას, ხოლო უარყოფითი ტონის მაჩვენებლები ნიკა მელიას გაშუქებისას.
- ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები ირღვევა გამოცემებში „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „ვერსია“, „კვირის ქრონიკა“.
- ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების განსაკუთრებულად უხეში დარღვევები გვხვდება გამოცემებში „ასავალ-დასავალი“ და „კვირის ქრონიკა“.

რეზონანსი


მონიტორინგის პერიოდში „რეზონანსი“ საკმაოდ ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. გამოცემაში არ შეიმჩნეოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. დაცული იყო ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ყველაზე ინტენსიურად კოალიცია „ქართული ოცნების“ (28%), მთავრობისა (21%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (17%) საქმიანობა გაშუქდა. მონიტორინგს არც ერთი სუბიექტის მიმართ არ დაფიქსირებულა დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები. უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი მაჩვენებელი გამოიკვეთა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (36%) გაშუქებისას (იხ. დიაგრამა 1). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უარყოფითი ტონი ძირითადად გვხვდებოდა რესპონდენტთა განცხადებებში და არა ჟურნალისტთა ტექსტებში. „რეზონანსის“ ჟურნალისტები მონიტორინგის პერიოდში თავს იკავებდნენ პოლიტიკური შეფასებებისა და დაუსაბუთებელი მსჯელობისგან.


მერობის კანდიდატებს შორის „რეზონანსში“ ყველაზე ინტენსიურად თბილისის მერობის კანდიდატები შუქდებოდნენ. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (28%) კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატის დავით ნარმანიას გაშუქებისას (იხ. დიაგრამა 2), ხოლო უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (18%) „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის ნიკა მელიას გაშუქებისას დაფიქსირდა.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასვანთ, რომ მონიტორინგის პირველ პერიოდში „რეზონანსი“ საკმაოდ ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი მაჩვენებელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქებისას, ხოლო, მეორე მხრივ, დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებელი კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატის დავით ნარმანიას გაშუქებისას. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გაზეთში დაცული იყო ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

(დიაგრამა 1, სუბიექტების გაშუქება „რეზონანსი“)



(დიაგრამა 2, მერობის კანდიდატების გაშუქება „რეზონანსი“)



ალია

მონიტორინგის პერიოდში „ალია“ გამოარჩეოდა საკმაოდ კრიტიკული განწყობით სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მიმართ. გაზეთი განსაკუთრებით კრიტიკული იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. ხშირ შემთხვევებში არღვეოდა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. გვხვდებოდა ჟურნალისტთა მხრიდან დაუსაბუთებელი მსჯელობა, არაეთიკური გამონათქვამები, დაუზუსტებელი ფაქტებისა და ნაკლებად სანდო წყაროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევები.


მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (24%), მთავრობის (19%) კოალიცია „ქართული ოცნებისა“ (17%) და „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის“ (11%) საქმიანობა გაშუქდა. აღსანიშნავია უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (45%) და კოალიცია „ქართული ოცნების“ (31%) გაშუქებისას (იხ. დიაგრამა 3). უარყოფითი ტონის ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი კი „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის“ (1%) ერგო.

მერობის კანდიდატებს შორის „ალიაში“ ყველაზე ინტენსიურად თბილისის მერობის კანდიდატები შუქდებოდნენ. დადებითი ტონის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებლები ერგო დავით ნარმანიასა (30%) და დიმიტრი ლორთქიფანიძეს (21%). უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები კი დაფიქსირდა კახა კუკავასა (37%) და ნიკა მელიას (28%) გაშუქებისას (იხ. დიაგრამა 4).


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ალიაში“ არაერთხელ შეგვხვდა ჟურნალისტური ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები, რაც ძირითადად გამოიხატებოდა ჟურნალისტთა მხრიდან სხვადასხვა პოლიტიკოსის სუბიექტურ შეფასებებში და ნაკლებად სანდო წყაროზე დაყრდნობით მოპოვებული ინფორმაციის გამოქვეყნებაში. მაგალითად: „კი მაგრამ ვისი სახელით პატიობს ნაციონალებს ამდენ დანაშაულს ირაკლი ალასანია, როდის აქეთ გახდა ერის მამა...“ „...უსირცხვილოდ აცხადებს სააკაშვილის რეჟიმს დაუპირისპირდით...“ („სტატია:ზბინა ივანიშვილი კოალიციის თავმჯდომარედ დაბრუნებას აპირებს“, 23.04.2014, გვ. 3-4). არაერთხელ შეგვხვდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ ჟურნალისტთა მხრიდან შეურაცმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები. მაგალითად: „ნაცზონდერები“ („ღარიბაშვილის მთავრობის სკანდალური კულუარები“, 18.04.2014, გვ. 11). მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ალიაში“ ადგილი ჰქონდა ფოტომასალით მანიპულაციასაც - სტატიას, „საკაშვილი უკრაინის ხელისუფლებას მოუწოდებს, რუსულ ჯარს არ შეუშინდეს“ (18.04.2014, გვ. 4) დართული ჰქონდა მიხეილ სააკაშვილის ფოტო, სადაც ის ჰალსტუხს ღეჭავს. ამ სტატიაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის განცხადება, რომელიც თავისთავად ნეიტრალური იყო თვითონ რესპონდენტის მიმართ, მსგავსი ფოტომასალის განთავსება კი რედაქციის მხრიდან მხოლოდ რესპონდენტის მიმართ უარყოფითი ემოციების გამოწვევას შეიძლება რომ ემსახურებოდეს.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ალიამ“ საკმაოდ არაობიექტურად გააშუქა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. გაზეთში ნათლად შეიმჩნევა უარყოფითი განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში არაერთხელ დაფიქსირდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები.

(დიაგრამა 3, სუბიექტების გაშუქება, „ალია“)



(დიაგრამა 4, მერობის კანდიდატების გაშუქება, „ალია“)



კვირის პალიტრა

მონიტორინგის პერიოდში „კვირის პალიტრა“ საკმაოდ ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. გამოცემაში არ შეიმჩნეოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. დაცული იყო ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ყველაზე ინტენსიურად მთავრობის (49%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (26%), პრემიერმინისტრისა (11%) და კოალიცია „ქართული

ოცნების“ (7%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის მიმართ არ დაფიქსირებულა. უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი მაჩვენებელი (43%) ერგო „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას“ (იხ. დიაგრამა 5). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უარყოფითი ტონი ძირითადად გვხვდებოდა რესპონდენტთა განცხადებებში და არა ჟურნალისტთა ტექსტებში. „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტები მონიტორინგის პერიოდში თავს იკავებდნენ პოლიტიკური შეფასებებისა და დაუსაბუთებელი მსჯელობისგან.

მერობის კანდიდატთა წინასაარჩევნო საქმიანობა მონიტორინგის პერიოდში „კვირის პალიტრას“ აქტიურად არ გაუშუქებია.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „კვირის პალიტრა“ საკმაოდ ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. შეიმჩნევა უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი მაჩვენებელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქებისას.

(დიაგრამა 5, სუბიექტების გაშუქება „კვირის პალიტრა“)



ასავალ-დასავალი

მონიტორინგის პერიოდში „ასავალ-დასავალი“ გამოირჩეოდა უკიდურესად კრიტიკული განწყობით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. სტატიებში სისტემატურად ირღვეოდა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. ხშირი იყო ჟურნალისტთა მხრიდან დაუსაბუთებელი მსჯელობა და შეურაცხყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების


შემთხვევები. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ასავალ-დასავალმა“ უკიდურესად არაობიექტურად გააშუქა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები.

მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (54%), პრემიერმინისტრი (13%) და მთავრობა (10%) გაშუქდა. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი მაჩვენებელი (72%) დაფიქსირდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქებისას (იხ. დიაგრამა 6). უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებლები ერგო კოალიცია „ქართულ ოცნებას“ (52%), მთავრობას (45%) და პრეზიდენტს (44%). აღსანიშნავია, რომ პრემიერმინისტრის, „ლეიბორისტული პარტიისა“ და ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის“ გაშუქებისას უარყოფითი ტონი საერთოდ არ დაფიქსირებულა. მერობის კანდიდატთა წინასაარჩევნო საქმიანობა მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ასავალ-დასავალს“ არ გაუშუქებია.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ასავალ-დასავალში“ წარმოდგენილი იყო უმეტესად ისეთი რესპონდენტების კომენტარები თუ ინტერვიუები, რომლებიც უარყოფითად იყვნენ განწყობილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. ამ პარტიის მიმართ სუბიექტურ მსჯელობასა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის სისტემატურად გამოყენებას არც გაზეთის ჟურნალისტები ერიდებოდნენ. მაგალითად: „დიახ, სააკაშვილს პოლიტიკურმა სიფილისმა დარია ხელი...“; „...ბოლოს კი სააკაშვილი აუცილებლად მოხვდება იქ სადაც მისნაირი „დავით აღმაშენებელი“, „ილია ჭავჭავაძეები“ მრავლად არიან, ანუ ხალათიან გიჟებთან...“; „...თუმცა როგორც ჩანს, სააკაშვილის შიზოფრენია დღითიდღე პროგრესირებს...“ („საბურავი ხარ შენე?“, 28.04.2014, გვ. 2); „დიახ, როგორც იუდას არა აქვს გამართლება, 30 ვერცხლად რომ გასცა იესო, ასევე არ შეიძლება გამართლდეს ადამიანი, რომელიც 30 ლარად მიყიდება ნაცფარისევლებს...“ („ნაცია-ადამიანი?“, 21.04.2014, გვ. 8).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ასავალ-დასავალი“ უკიდურესად არაობიექტურად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. გაზეთში სისტემატურად გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები.

(დიაგრამა 6, სუბიექტების გაშუქება, „ასავალ-დასავალი“)



ახალი თაობა

მონიტორინგის პერიოდში „ახალი თაობა“ საკმაოდ კრიტიკული იყო როგორც მმართველი პარტიის, ასევე საპარლამენტო ოპოზიციის საქმიანობის გაშუქებისას. რიგ შემთხვევებში გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები, რაც გამოიხატებოდა ჟურნალისტთა დაუსაბუთებელ მსჯელობასა და არაეთიკურ გამოხატვებებში. აღსანიშნავია დადებითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებელი საარჩევნო ბლოკ „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის“ კანდიდატის დიმიტრი ლორთქიფანიძის გაშუქებისას.


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ყველაზე ინტენსიურად კოალიცია „ქართული ოცნების“ (20%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (18%), მთავრობისა (18%) და „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის“ (12%) საქმიანობა გაშუქდა. აღსანიშნავია უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (53%) გაშუქებისას (იხ. დიაგრამა 7). ასევე, უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებლები კოალიცია „ქართული ოცნებისა“ (19%) და პრეზიდენტის (17%) გაშუქებისას. ხოლო დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის“ (9%) გაშუქებისას.

თბილისის მერობის კანდიდატებს შორის დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა დიმიტრი ლორთქიფანიძისა (76%) და დავით ნარმანიას (29%) გაშუქებისას (იხ. დიაგრამა 8). „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის ნიკა მელიას გაშუქებისას კი უარყოფითი ტონის საკმაოდ დიდი პროცენტული მაჩვენებელი გამოიკვეთა (67%).


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში არაერთხელ დაფიქსირდა ჟურნალისტთა მხრიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ სუბიექტური მსჯელობა და არაეთიკური გამონათქვამები. მაგალითად: „ნაცმოძი უკანონო მოსმენების გამო გმინავს...“ („ჩინოსნების ხელფასები 138 მილიონით გაიზარდა“, 1.05.2014, გვ. 4). ასევე, გვხვდებოდა ჟურნალისტთა მხრიდან დაუსაბუთებელი მსჯელობისა და ნაკლებად სანდო წყაროზე დაყრდნობით მოპოვებული ინფორმაციის გავრცელების შემთხვევები. მაგალითად: „მიზეზს საჯაროდ არ ამხელენ, მაგრამ, კულუარული ინფორმაციით და „ახალი თაობის“ სარწმუნო წყაროს ცნობით, კუკავა თურმე ნაციონალებს ეკურკურებოდაო“ („საქართველოში პოლიტიკა ბიზნესად იქცა“, 25.04.2014, გვ. 2).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასენათ, რომ „ახალ თაობაში“ შეიმჩნევა საკმაოდ კრიტიკული განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. რიგ შემთხვევებში გაზეთის ჟურნალისტები ღიად გამოხატავენ მათ უარყოფით განწყობას პარტიის მიმართ. ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები მეტ-ნაკლებად დაცულია, თუმცა, მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გაზეთში დაფიქსირდა არაერთი უხეში დარღვევის შემთხვევა.

(დიაგრამა 7, სუბიექტების გაშუქება, „ახალი თაობა“)



(დიაგრამა 8, მერობის კანდიდატების გაშუქება, „ახალი თაობა“)



ვერსია

მონიტორინგის პირველ პერიოდში „ვერსიაში“ შეიმჩნეოდა საკმაოდ კრიტიკული განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. ახალი ამბების გაშუქებისას გაზეთში უმეტესად დაცული იყო ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები, ხოლო საავტორო სტატიებში ხშირად ჰქონდა ადგილი დაუსაბუთებელ მსჯელობასა და არაეთიკურ გამონათქვამებს.


მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად კოალიცია „ქართული ოცნების“ (32%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (22%) და მთავრობის (22%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (51%) გაშუქებისას. დადებითი ან უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები სხვა სუბიექტების გაშუქებისას არ დაფიქსირებულა (იხ. დიაგრამა 9). მერობის კანდიდატთა წინასაარჩევნო საქმიანობა „ვერსიას“ აქტიურად არ გაუშუქებია.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გაზეთში არაერთხელ შეგვხვდა ჟურნალისტთა მხრიდან სუბიექტური მსჯელობა და არაეთიკური გამონათქვამები სხვადასხვა პოლიტიკოსის მიმართ; უმეტეს შემთხვევებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა მიმართ. მაგალითად: „ზუგდიდელებისგან ვიცი, როლანდ ახალაია ის კაცია, თავისი შვილები გინდ წინ დაუყენე, გინ უკან, სიკეთეს მაინც ვერ დაანახებს...“,

„...ნესტორიჰმა პარლამენტარის იმუნიტეტი მოიღო...“ („ახალაიების ახალი ფაქტორი და დაანონსებული „ეროვნული მოძრაობა“, 16-17.04.2014, გვ. 3).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ვერსია“ საკმაოდ კრიტიკულად არის განწყობილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. ახალი ამბების გაშუქებისას უმეტესად დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. საავტორო სტატიებში კი არაერთხელ შეგვხვდა ჟურნალისტური სტანდარტების უხეში დარღვევის შემთხვევები.

(დიაგრამა 9, სუბიექტების გაშუქება „ვერსიაში“)



კვირის ქრონიკა

მონიტორინგის პირველ პერიოდში „კვირის ქრონიკა“ საკმაოდ არაობიექტურად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. გაზეთი გამოიჩინა უკიდურესად უარყოფითი განწყობით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. ხშირად შეგვხვდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები. „კვირის ქრონიკის“ ჟურნალისტები არ ერიდებოდნენ სუბიექტურ მსჯელობასა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენებას სხვადასხვა პოლიტიკოსის მიმართ.


მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (37%), კოალიცია „ქართული ოცნების“ (25%), მთავრობისა (12%) და პრეზიდენტის (10%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (61%)

გაშუქებისას (იხ. დიაგრამა 10). უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები ერგოთ პრეზიდენტს (44%), მთავრობასა (34%) და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ (22%). აღსანიშნავია, რომ უარყოფითი ტონის ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებლები და ამავდროულად დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა პრემიერმინისტრისა და „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის“ გაშუქებისას.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „კვირის ქრონიკაში“ არაერთხელ შეგვხვდა ჟურნალისტთა მხრიდან სუბიექტური მსჯელობა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ. მაგალითად: „პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ფანტაზიის უნართა და თავხედობით თავის წინამორბედს გადაასწრო. მან გაცილებით ადრე დაიწყო ჩვენი ფულით „კაიფი“, ვიდრე ეს მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა“, „... მარგველაშვილს თავზე ხელი ჯერ კიდევ 2013 წელს აუღია, ანუ კაი ლაზათიანად გაუბერია...“, „... ადგილი აქვს არა მხოლოდ ვირეშმაკობას, არამედ სერიოზულ ღალატსაც...“ („გიორგი მარგველაშვილმა მადით მიხეილ სააკაშვილსაც გაასწრო“, 28.04.2014, გვ. 27-28); „ჰოდა, ახლა ნოდარს [ხადურს] გახსენებია თავისი გენიოსური განგარიშება და ასეთი შაირი გამოუთქვამს: მე გლდანიდან გადავიხედე, ტრაქტორი ხნავს მინდორ-ველებს, კარტოფილი თუ არ მოვა, ამ ჩემს ყ-ს და ამ ჩემს ყვ-ებს!“ („მაპი ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს და მომიტევენ ჩვენ კოჰაბიტაცია ჩვენი“, 22.04.2014, გვ. 31).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „კვირის ქრონიკა“ საკმაოდ არაობიექტურად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. გაზეთში სისტემატურად გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები.

(დიაგრამა 10, სუბიექტების გაშუქება „კვირის ქრონიკა“)



დასკვნა

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ქართულ ბეჭდურ მედიაში საკმაოდ ხშირად ირღვევა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. ხშირ შემთხვევებში ჟურნალისტები არ ერიდებიან სუბიექტურ და დაუსაბუთებელ მსჯელობას. მეტიც, მონიტორინგისთვის შერჩეულ გამოცემებში ხშირად გვხვდებოდა ჟურნალისტთა ტექსტებში შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგია ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების განსაკუთრებულად უხეში დარღვევის შემთხვევები სისტემატურად გვხვდებოდა გაზეთებში „საავალ-დასავალი“ და „კვირის ქრონიკა“.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ყველა შერჩეულ გამოცემაში ჭარბობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკა. მერობის კანდიდატთა გაშუქებისას ჭარბობდა დადებითი ტონი დავით ნარმანიასა და დიმიტრი ლორთქიფანიძის გაშუქებისას, ხოლო უარყოფითი ტონი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის მერობის კანდიდატის ნიკა მელიას საქმიანობის გაშუქებისას.